სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

10 სექტემბერი, 2025 წ.

ბრძანება N01-02/171

2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის მობილობის ფარგლებში ბსუ-ს სადოქტორო პროგრამაზე მისაღები გამოცდების კომისიების შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-13 მუხლის, „ბსუ–ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილების, **„ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების** დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2024 წლის 27 დეკემბრის №129 დადგენილების, ,,ბსუ-ს 2025-2026 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 22 ივლისის №06-01/70 დადგენილების, ,,კრედიტების აღიარებისა და საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ბსუ-ს სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №55 დადგენილების, ,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 27 თებერვლის №06-01/129 დადგენილების, **,,ბსუ-ში მობილობის** (შიდა მობილობის) **ადმინისტრირების წესის** დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 01 აგვისტოს №01-02/143 ბრძანების, ,,2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობის/შიდა მობილობის კონტიგენტის განსაზღვრის შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 16 ივლისის №06-01/60 დადგენილების, ,,2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან ბსუ-ში გადმოსვლის **(გარე მობილობის) ვადების** განსაზღვრის შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 25 ივლისის N01-02/151 ბრძანების,** ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის (05/09/2025, N1082608), ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანის მოადგილის სამსახურებრივი ბარათის (08/09/2025, N1088357), ,,ბსუ-ს რექტორის მოადგილეთა ფუნქციების განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 12 აგვისტოს N01-02/155 ბრძანების, ,,ბსუ-ს რექტორის ტიტე არაშიძის ქალაქ თბილისში მივლინების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 09 სექტემბრის N01-14/512 ბრძანების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. 2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის **მობილობის** ფარგლებში ბსუ-ს **სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის** მისაღები **გამოცდების ჩატარების მიზნით შეიქმნას:**

1.1. ,,**უცხო ენის**" საგამოცდო **კომისია** (წინამდებარე ბრძანების N1 **დანართი);**

1.2. **,,სპეციალობის" გამოცდის** (გასაუბრების) საფაკულტეტო **დარგობრივი კომისია,** ასევე ,,სპეციალობის გამოცდის" დარგობრივი **სააპელაციო** კომისია, წინამდებარე ბრძანების **N2 დანართის** შესაბამისად **(შენიშვნა:** სპეციალობის გამოცდის დარგობრივი კომისია შედგება არანაკლებ სამი წევრისგან, რომელთა კომპეტენცია დასტურდება ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შესაბამისი დარგის/მიმართულების Web of Science (Clarivate Analytics), Scopus და ERIH PLUS (European Reference Index of the Humanities) (ჰუმანიტარული და სოციალური

მიმართულებით) ბაზებში ინდექსირებულ რეფერირებად/რეცენზირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომით);

2. **დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე გადმოსვლის მსურველისათვის** (ვინც განაცხადებს თანხმობას, ფაკულტეტის მიერ მომზადებულ კრედიტების აღიარების დასკვნაზე) ჩატარებული გამოცდების/გასაუბრების საბოლოო შედეგების გათვალისწინებით **ფაკულტეტმა** **გამოავლინოს** შესაბამის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვაზე უფლებამოპოვებული პირი და წარმოდგენილი იქნეს ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათი **(შენიშვნა:** ,,სადოქტორო პროგრამაზე მისაღებ კონკურსში თანაბარქულიანი პირების არსებობის შემთხვევაში, **უპირატესობა ენიჭება სპეციალობის გამოცდის/გასაუბრების შედეგებს.** ასევე გაითვალისწინება შესაბამისი სადოქტორო პროგრამით განსაზღვრული მიღების დამატებითი პირობები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)").
3. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. ამ ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი დაევალოს რექტორის მოადგილეს სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით (გ. ქათამაძე).
5. ბრძანება დაეგზავნოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს და ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს: ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N 30.)

ბსუ-ს რექტორის მოადგილე
სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით,
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი **გიორგი ქათამაძე**

,,2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის მობილობის ფარგლებში
ბსუ-ს სადოქტორო პროგრამაზე მისაღები გამოცდების კომისიების შექმნის შესახებ“
ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 10 სექტემბრის N01-02/171 ბრძანების

N1 დანართი

,,2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის მობილობის ფარგლებში
ბსუ-ს სადოქტორო პროგრამაზე
,,უცხო ენაში“ მისაღები გამოცდის
(უცხო ენის ცოდნის დონის დადასტურებისათვის)

საგამოცდო კომისია

(შენიშვნა: ,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების“ თანახმად, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტები მიიღება კონკურსის წესით, უცხო ენის ცოდნის დონის დადასტურების/უცხო ენის გამოცდის და სპეციალობის გამოცდის (გასაუბრების) შედეგების გათვალისწინებით. უცხო ენაში გამოცდის შედეგები აისახება შესაბამის უწყისში (დებულების თანდართული უწყისის **ფორმა N3**) მაქსიმალური შეფასებაა 100 ქულა, ხოლო კომპეტენციის მინიმალური ზღვარი - 71 ქულა.)

საგამოცდო კომისია ,,ინგლისური ენის“ გამოცდაზე ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის: **,,ბიზნესის ადმინისტრირება”**		
1.	ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის ასოცირებული პროფესორი **ნინო სამნიძე**	თავმჯდომარე
2.	ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის ასისტენტ-პროფესორი **ლეილა დიასამიძე**	მდივანი
3.	ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის ასისტენტ-პროფესორი თეონა თედორაძე	წევრი
4.	ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის ასოცირებული პროფესორი მედეა დიასამიძე	წევრი

2025-26 სასწავლო წლისათვის ბსუ-ს სადოქტორო პროგრამაზე მისაღები გამოცდის
,,უცხო ენა“ სააპელაციო კომისიის შემადგენლობა

უცხო ენაში (ინგლისური ენა) მისაღები გამოცდის სააპელაციო კომისია		
1.	ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ევროპეისტიკის დარგობრივი დეპარტამენტის პროფესორი **თამარ სირაძე**	თავმჯდომარე
2.	ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის ასოცირებული პროფესორი **თათია ნაკაშიძე-მახარაძე**	წევრი
3.	ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ევროპეისტიკის დარგობრივი დეპარტამენტის პროფესორი **მარინე სიორიძე**	წევრი
4.	ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ევროპეისტიკის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი **თეონა ბერიძე**	წევრი

(**შენიშვნა:** გამოცდის შედეგზე დოქტორანტის კანდიდატის ,,განაცხადი (საჩივარი) უნდა მოიცავდეს დეტალურ აღწერას და დასაბუთებას დოქტორანტურაში მიღების ან/და ჩარიცხვის პროცედურებში გამოვლენილი დარღვევების შესახებ. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია კანდიდატს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია ან/და მოიწვიოს საჩივრის/აპელაციის განხილვაზე არაუგვიანეს **განხილვამდე 1 დღით ადრე.** სააპელაციო კომისია აპელაციის განხილვის შედეგად, სრული შემადგენლობის უმრავლესობით იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, კერძოდ: ა) იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება პროცედურული დარღვევა, შესაბამისი დასაბუთებით (მითითებით) საკითხი უბრუნდება დოქტორანტურაში მიმღებ კომისიას (საგამოცდო კომისიას), საჭირო პირობების დაცვით მისი ხელახლა განხილვის მიზნით; ბ) იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო კომისია ვერ დაადგენს დარღვევას, დოქტორანტურაში მიმღები კომისიის (საგამოცდო კომისიის) გადაწყვეტილება რჩება უცვლელი. სააპელაციო კომისია ვალდებულია გადაწყვეტილება გაუგზავნოს/გააცნოს აპელანტს. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ ექვემდებარება გასაჩივრებას“.)

,,2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის მობილობის ფარგლებში
ბსუ-ს სადოქტორო პროგრამაზე მისაღები გამოცდების კომისიების შექმნის შესახებ“
ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 10 სექტემბრის N01-02/171 ბრძანების

N2 დანართი

,,2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის მობილობის ფარგლებში
ბსუ-ს სადოქტორო პროგრამაზე **მისაღები გამოცდის ,,სპეციალობა“** (გასაუბრების)
<u>საფაკულტეტო</u> **დარგობრივი კომისია**

ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა **„ბიზნესის ადმინისტრირება“**		
1.	ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი ვლადიმერ ღლონტი	თავმჯდომარე
2.	ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ლეილა ცეცხლაძე	მდივანი
3.	ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი ნათელა წიკლაშვილი	წევრი
4.	ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი ასიე ცინცაძე	წევრი
5.	ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი ბადრი გეჩბაია	წევრი
6.	ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი რეზო მანველიძე	წევრი
7.	ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი პაატა არუშიძე	წევრი

2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის მობილობის ფარგლებში
ბსუ-ს სადოქტორო პროგრამაზე **მისაღები გამოცდის ,,სპეციალობა“** (გასაუბრების)
დარგობრივი <u>სააპელაციო კომისიის შემადგენლობა</u>

ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა **„ბიზნესის ადმინისტრირება“**		
1.	ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი გელა მამულაძე	თავმჯდომარე
2.	ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ნანული მახარაძე	მდივანი
3.	ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი დავით ქათამაძე	წევრი

(**შენიშვნა:** გამოცდის შედეგზე დოქტორანტის კანდიდატის ,,განაცხადი (საჩივარი) უნდა მოიცავდეს დეტალურ აღწერას და დასაბუთებას დოქტორანტურაში მიღების ან/და ჩარიცხვის პროცედურებში გამოვლენილი დარღვევების შესახებ. <u>სააპელაციო კომისია უფლებამოსილია კანდიდატს მოსთხოვოს</u> დამატებითი ინფორმაცია ან/და მოიწვიოს საჩივრის/აპელაციის განხილვაზე <u>არაუგვიანეს **განხილვამდე 1 დღით ადრე.**</u> სააპელაციო კომისია აპელაციის განხილვის შედეგად, სრული შემადგენლობის უმრავლესობით იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, კერძოდ: ა) იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება პროცედურული დარღვევა, შესაბამისი დასაბუთებით (მითითებით) საკითხი უბრუნდება დოქტორანტურაში მიმღებ კომისიას <u>(საგამოცდო კომისიას),</u> საჭირო პირობების დაცვით მისი ხელახლა განხილვის მიზნით; ბ) იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო კომისია ვერ დაადგენს დარღვევას, დოქტორანტურაში მიმღები კომისიის (საგამოცდო კომისიის) გადაწყვეტილება რჩება უცვლელი. სააპელაციო კომისია ვალდებულია გადაწყვეტილება გაუგზავნოს/გააცნოს აპელანტს. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ ექვემდებარება გასაჩივრებას“.